№ 173 აგვისტო 12, კვირა

„Иверія“ (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе. 348

1890

აგვისტო 12, კვირა № 173

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სურათებიანი

## „ვეფხის-ტყაოსანი“

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

### გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

**გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მეორედ-დასაჭერი ეგზამენები ხსენებულს სასწავლებელში იქნება 25 და 27 აგვისტოსა, სასწავლებელში მისაღები-კი 28 აგვისტოსა ამა წლისასა. (3—2)

ტფილისი, 11 აგვისტო

სწორედ მოგახსენოთ, არც ზედამხედველი კამიტეტი ქუთაისის ბანკისა ვადაურჩება სამართლიანს სამდურავს. მეტის-მეტი გულ-დაუდებლობა, დაუდევრობა ეტყობა მის განაჩენებს იმ საქმის თაობაზე, რომლის გამოც ეხლა ასეთი აყალმაყალია ატეხილი და რომელიც იმოდენად სამძიმო და სანაღვლელია, რომ კაცს არ ეპატიება ხელ-და-ხელ შეხანხვლა განაჩენებისა. მართალია, ეგრეთ-წოდებული „რეზოლუციები“ არ ჰთხოულობენ დასაბუთებას, მაგრამ თვით აზრი-კი რეზოლუციისა ცხადი და თვალ-საჩინო უნდა იყოს იმოდენად, რომ არაფერი კუდ-გამოსაბმელი არა დარჩესრა. სამწუხაროდ ჩვენდა, კამიტეტის განაჩენებში ამას ვერა ვხედავთ. პირიქით, ვხედავთ, რომ არც იმისთვის უნაღვლიათ აზრი ცხადი იყოს, არც იმისთვის, რომ საჭირო სისრულით გამოეთქვათ.

აბა რა არის, თქვენი ჭირიმე, ეს რეზოლუცია კამიტეტისა (მაისი 30) შესახებ წინად ხსენებულ ექვსის კაცის არზისა:

„По прошенію, поданному (აქ დასახელებული ექვსი კაცი)..., постановилъ: приступить къ установленію фактовъ, изложенныхъ въ прошеніи, и *вопросъ оставить открытымъ* до слѣдующаго засѣданія“... და სხვანი.

მოდით და გაიგეთ, რომელი вопросъ-ია открытый? რომელი вопросъ-ია აქ საგულვებელი? ნუ თუ ამ вопросъ-ის დასახელება აქ საჭირო არ იყო? ასეთს სიტყვა-ნაკლებს განაჩენს კაცი რომ ჰკითხულობს, ჰგონია, ამის დამწერს გულში რაღაცა სდებია სათქმელად და ან მოცლა არა ჰქონია სიტყვა დაესრულებინა, ან დაჰზარებია ორიოდე სიტყვის ჩამატება. აი ამისთანა სიტყვა-მოკლეობამ იცის მითქმა-მოთქმის ატეხა და ვინ იცის, იქნება ამანაც მისცა გამგეობას მიზეზი შეეწამა, რომ ეს вопросъ-ი უსათუოდ არჩევანის გაუქმებას მოასწავებსო.

ან რა არის განაჩენი 11 ივნისისა?

„Постановилъ: предложить правленію исполнить въ теченіе трехъ дней постановленіи наб. к—та 2-го сего Іюня, а *о не исполненіи правленіемъ* постановленія комитета 2-го Іюня (*изложеннаго** *въ протоколѣ 7-го Іюня, подъ предлогомъ вопросовъ не умѣстныхъ*), имѣть сужденіе особо.

აბა რა არის ეს ფრჩხილებში მოყვანილი ფრაზა? განა აქედამ აზრი რამ გაიგება? აშკარაა, აქ კამიტეტს საჭირო მუყაითობა არ გაუწევია და დაუდევნელად უწერია განაჩენი. იქნება ასლი განაჩენისა, რომელიც ჩვენა გვაქვს, შეცდომით არის გადაწერილი. თუ ესეა, ბოდიშს ვიხდით კამიტეტის წინაშე, და თუ სწორედ არის გადაწერილი, ნურას დაგვემდურებიან ამ გულ-დაუდებლობის ჩვენებისათვის.

ან რა არის განაჩენი კამიტეტისა, 3-ს ივლისს დადგენილი:

Наблюдательный комитетъ въ составѣ (აქ ხუთი წევრია დასახელებული), выслушавъ объясненіе правленія 25-го Іюня сего года за № 735, по большинству голосовъ постановилъ: *удалить отъ должности* предсѣдателя правленія Мих. Дв. Зем. Банка К. Н. Чиквадзе и постановленіе это представить на обсужденіе чрезвычайнаго собранія, которое созвать на 2-ое Сентября сего 1890 г....

ხელს აწერენ:

1) Предсѣдатель Кн. С. Церетели.
2) При особомъ мнѣніи по вопросу о личной отвѣтственности и о наказаніи по отношенію къ предсѣдателю правленія Л. Асатіани.
3) Сп. Джорджикія (при мнѣніи).
4) Л. Лолуа (при особомъ мнѣніи).
5) А. Лордкипанидзе.

გამოდის, რომ ხუთში მარტო ორს დაუდგენია ეს განაჩენი, სამს და დანარჩენს-კი თავისი საკუთარი ცალ-ცალკე აზრი ჰქონიათ. ბ-ნ ლოლუას, თუ საბუთი არა, მიზეზი ხომ ჰქონდა ეთქვა თავის განცხადებაში, რომელიც 16 ივლისს შეუტანია კამიტეტში, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არისო, რადგანაც ხუთ წევრს შორის ოთხი სხვა-და-სხვა აზრი აღმოჩნდაო.

რად უნდა მომხდარიყო ჯერ იმის თქმა, რომ ხმის უმეტესობით დადგენილ იქმნა ეს განაჩენიო და მერე-კი გამოსულიყო, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არის? აშკარაა, აქაც იგივე ხელდახელობაა, იგივ დაუდევნელობა, და სამწუხაროა, რომ ასეა.

ზედამხედველი კამიტეტი, ან, უკეთ ვსთქვათ, მისი თავმჯდომარე პატარა ხანს რომ ჩაჰფიქრებოდა ამ საქმეს, დაინახავდა, რომ აქ განსაკითხი ოთხი საგანია, თუმცა ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგრამ შესაძლოა თითოეულმა ცალკე სხვა-და სხვა აზრი აუჩინოს გამკითხველს. აქ, ჩვენის ფიქრით, პირველი საკითხი იყო: გამგეობის თავმჯდომარის საქციელი ურჩობა და თვით-ნებობაა, თუ არა? მეორე— თუ ურჩობა და თვით-ნებობაა, გავურჩუმდეთ, თუ პასუხის საგებელი გავხადოთ? მესამე—თუ პასუხის საგებლად გავხდით, რა საკანონო დავსდევათ: ვურჩიოთ კრებას გადააყენოს თანამდებობისაგან, თუ სხვა რამ სასჯელი დავასახელოთ? და მეოთხე—თუ გადაყენება ვურჩიოთ, მორიგ კრებას მოვუცადოთ, თუ საგანგებო მოვიწვიოთ, და თუ მოვიწვიოთ, როდის?

იქნება გვითხრან, ახლა სასამართლოს წესები შემოგვაღებინეო! მითამ რატომ არა, როცა უიმისობა შეუძლებელია? განა სასამართლოს წესი-კი ისე ალალ-ბედად არის დადგენილი და არა საქმეთა ვითარებისაგან წარმომდგარი? ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში თვით ბუნება და ვითარება საქმისა ამას ითხოვდა. აკი ბოლოს იგე გამოვიდა, რომ წევრთ გასჭირვებიათ, გასძნელებიათ ერთის გადაწყვეტილის ჰოს თქმა ოთხს საგანზედ ერთად. ეს აშკარადა სჩანს ბ-ნ ასათიანის ზედ წარწერისაგან: იგი ყველაფერზე თანახმაა გარდა სასჯელისა. ადვილად საფიქრებელია, რომ დანარჩენ ცალკე მოაზრეთაც ესევე დაჰმართოდათ შესახებ სხვა რომელისამე საგნისა. თუ ესეა, ადვილად დასაჯერია იგი ხმის უმეტესობა, რომელსაც გვაუწყებს კამიტეტი თავის განაჩენით. მაგალითებრ, ხუთში ორი წევრი ყველაფერზე თანხმანი არიან, ესე იგი, მთელი ოთხი საგანი უარის უთქმელად მიუღიათ. ბ-ნ ასათიანს უთქვამს, რომ მე მარტო სასჯელის თანახმა არა ვარო. მაშ აშკარაა სამი დანარჩენი საგანი უყაბულნია. დანარჩენ ორ ცალკე მოაზრეთა შორის ერთს უთქვამს, მაგალითად, თუნდ ბ-ნ ლოლუას—მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ხოლო საგანგებო კრებას ნუ მოვიწვევთ და მორიგს მოვუცადოთო, და მეორეს, ვსთქვათ ბ-ნ ჯორჯიკიას,—დავუჩუმდეთ, ისა სჯობიაო. რა გამოდის აქედამ? ისა, რომ თუ ესეა, მართლა ხმის უმეტესობით გადაწყვეტილა საქმე. აი როგორ: საცილებელი საგნები აქ, ჩვენს მაგალითში, ხომ სასჯელია და საგანგებო კრება, და რადგანაც ბ-ნი ასათიანი

---

*) Изложеннаго, изложенныхъ, თუ изложенномъ? ჩვენ ქაღალდში ვერ გავარჩიეთ, რადგანაც გადამწერს, როგორც ეტყობა, ამ სიტყვის ბოლოში შეშლია ასოები. ხოლო ამას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ-რომ როგორც გნებავთ აზრუნეთ ეს სიტყვა, მაინც ფრაზა, ფრჩხილებში ჩასმული, თავიდამ ბოლომდე გამოუცნობელი და გაუგებელია.

---

# ფელეტონი

## რამე-რუმე

(სოფლად ნაფიქრი და გაგონილი)

ჩვენში მწერლობა აბუჩად აგდებულია, სუბუქი, საჩხირკედელო საქმე ჰგონიათ; მწერლებიც „საქმე-გამოლეულ“ ხალხად მიაჩნიათ: საქმე არა აქვთ და ჰბლაჯნიანო, მაგრამ თუ ამ საქმე-გამოლეულმა კალმის უსტაბაშმა „გაუხაზუნა“ ვისმე ამის მოუბარს გაზეთში, გაგიხარიან ის ყალყზე შედგება და ასტეხს ჰაი-ჰუის, დაიწყებს აურზაურს: როგორ თუ გაზეთში ჩამაგდეთ და ჩემი ცუდი საქციელი გამოაქვეყნეთო! თითქოს ჰბრძანებდით, გაზეთში უსაქმურობაა, არაფერიაო?! თუ დაგწო, თუ გიკბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა-კი არა, საქმიანობა ყოფილა, მაშასადამე, ძალა ჰქონია, საყურადღებო რაღაც რამ ყოფილა ეს სხვა-და-სხვა ამბით, სხვა-და-სხვა ფიქრითა და აზრით აჭრელებული ფურცელი. დიაღ, ნუ გგონიათ, ვაქბატონებო, რომ ჩვენ, ბეჩაეს მბლაჯნავებს, მართლა საქმე გვაქვს გამოლეული და არაფერს ვაკეთებთ. ჩვენ უფრო კარგს საქმეს ვაკეთებთ, ვიდრე თქვენ, ვისაც წიგნი, გონების-მოძრაობა ჭირივით გეჯავრებათ. საწყალი მეფელეტონე სწერს რასმე, მაგრამ იგი სცდილობს მუდამ იმას, რომ სხვას არგოს, ქვეყნის სასარგებლო რამა სთქვას და თქვენ-კი თქვენის საქმეებითურთ ერთად მარტო თავისი ცხვირი და ბაყბაყ მდევივით ბტყელი ყურები გახსოვთ. მწერლობასა და მწერლებს რომ უარ-ჰყოფენ ერთნი, იმათ სხვა აწუხებთ და მეორეებს კიდევ, აი ამ ჯურისას, რომელსაც მაგალითად ეხლავე მოგახსენებთ, სულ სხვა. მე ერთი გლეხი მყავს მეზობლად და ორს დღეში ერთხელ მაინც მინახულებს ხოლმე. ვაი ჩემი ბრალი, თუ წერის დროს მომასწრო: ამომხვარავს, ძირიან-ფოჩიანად ამომიღებს.

— შენ სწორედ საქმე გამოგწყვეტია, კაცო, რა სულ მა ქაღალდებს ჩაჰღირღიტ-ჩაჰკირკიტებ? სულ ხომ ბალღი არ იქნები, გაათავე, საქმე გაიგე, მოეშვი მაგ მასხარაობასა და ჩხირკედელობას! მეუბნება ისე დარწმუნებით და დაბეჯითებით, რომ მეც თითქოს ვეჭვიანობ და მართლა უსაქმური მგონია ჩემი თავი.

— საქმე არა გგონია შენ ესა?.. მაშ საქმეს რაღას ეძახი? ვეკითხები მე.

— სადაური საქმეა შენს გამარჯვებას: ქაღალდი, მელანი და იმისი საქმე?! საქმეს იმას ვეძახი, მოხნას კაცმა, მომკოს, გათიბოს, სახლს რამ შეჰმატოს, გააკეთოს რამა, ან თავს არგოს, ან ცოლ-შვილსა.

რა პასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს თუკი არაფერი გაეგება არც მწერლობისა, არც სწავლისა, ცხრა-მეათედს მის გონებისას სძინავს და ასეთი ყოფა ეტკბილება?! რა ქნას იმ საცოდავმა, რაც უსწავლია, იმას ამბობს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არაფერი უსწავლია და ამის მეტს რას იტყვის! ერთის სიტყვით, ხათაბალაა მწერლის ყოფნა: გამოლმა თითონ არის და გაღმა ისინი, ვისთვისაც რამ იწერება. წადი და ერთი იმათ ენაზე ელაპარაკე. უხერხული მდგომარეობაა, მა რა ჯანდაბაა, მე იმასა ვნატრულობ, ვეხვეწები ღმერთს: ღმერთო, შენ გააძლიერე ჩვენი მწერლობა, მოგვეცი საუკეთესო პოეტები, საუკეთესო კრიტიკოსები, საუკეთესო ისტორიკოსები და პუბლიცისტებიო, მოგვეცი ღონე და შეძლება, რომ მწერლობის სიტყვამ გაიჩინოს ბინა ხალხის გულ-გონებაში, რომ მწერლობას ისიც კვალ და კვალ მიჰყვეს, შეიგნოს, შეისისხლხორცოს მისი აზრი და ფიქრიო, და უმრავლესი მკითხველად დაბადებული კიდევ იმას გაიძახის: წერაზედ სრულიად ხელი უნდა აიღოთო! არა, წერაზე ხელს ვერ ავიღებთ, ჩემო სწავლის მტერო, თუ გონებით ზარმაცო მკითხველო.

ჰო, ეს პირველი მუშა კაცია, მშრომელი, სულ ერთავად მიწას ჩაჰღირღიტებს, იმას ებრძვის გუთნით, ბარითა და თოხით. მიწის გულიდგან ილებს სარჩოს, თითო ლუკმა პური თითო მუჭა ოფლად უღირს და თავიც მოსწონს იმითი, რომ მუშა-კაცია და თავის „ალალს“ ოფლსა სჭამს, ეს გასპარა ვინღა ოხერია?! პირველს ეპატიება კიდევ, როგორც იქნება, ჩემი დაკიჟინება, ამ გასპარას, ამ ჩარჩ-გასპარას როგორ უნდა აპატიოს კაცმა! შეხედოთ, მობძანდება თავის კუდა ცხენით, გადუკიდია გალიები ცხენზე, ზედ თითონ გადაუბოტია და ფეიქარივით ფეხებს მოაკლაკუნებს. ცხენზევე უკიდია ერბოთი და კარაქით გალესილი ხურჯინი, მაგრამ ეხლა ერბო აღარ უძევს შიგ, ეხლა გასპარა ერბოების დასაკვეთად მობძანდება: ხურჯინში ჩაუწყვია ცოტაოდენი ლილა, ცოტაოდენი შაბი, ცოტა-მატა ახალ-ფერი, ნემსები, ძაფები, მძივები, ღილები, შეშუდი რაღა, სულ ხუთის მანათისა, და ამით უნდა ივაჭროს.

აგერ მობძანდა კიდეც ეზოში.

მიჰმხრობია ორს ყველაფერში გარდა სასჯელისა და ბ-ნი ლოლუა ყველაფერშივე გარდა, ვსთქვათ, საგანგებო კრებისა, მაშ სასჯელიც სამის ხმის უმეტესობით არის მიღებული ბ-ნ ლოლუას მიმხრობით და საგანგებო კრების მოწვევაც ბ-ნ ასათიანის ხმით.

ჩვენ იმას-კი არ ვამტკიცებთ, რომ საქმე სწორედ ამ გზით გადაწყვეტილა. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ თუ თავმჯდომარეს კამიტეტისას ოთხი საგანი ცალ-ცალკე დაეყენებინა გამოსაკითხად, შესაძლოა ხმათა მეტნაკლებობა ამ გზით უფრო ნათლად გამორკვეულიყო და ისე არ გამოსულიყო, როგორც ეხლა, რომ ფიცი კამიტეტისა ხმის უმეტესობის თაობაზე გვწამს და ბოლო-კი გვაკვირვებს. იქნება საქმე სწორედ ეგრეც იყო განკითხული, ხოლო განაჩენი ისე ხელ-და-ხელ და ალალ-ბედობაზე დაწერილა, თითქო სამისო არა იყო-რა, რომ ამაზე მეტად შეწუხებულიყო დამწერი, გზა განკითხვისა სხვისთვისაც დაენახვებინა და საქმე საჰო-არაოდ არ გაეხადნა.

თუნდ ეგეც არ იყოს, რას ჰნიშნავს постановилъ удалить? აქაც განაჩენს ხელ-და-ხელობა ეტყობა, იმიტომ-რომ უფრო ჯეროვანი და უმიზეზოა კამიტეტს ეთქვა: предложить чрезвычайному собранію удалить... და სხვანი, თორემ ეხლა-კი გამოდის, ვითომ თვით კამიტეტს მოუწადინებია თავის ძალით *удалить* მაშინ, როდესაც წესდების § 78, მუხლი 15 ამბობს: «Вѣдѣнію Наб. К—та подлежитъ:... постановленіе заключенія объ удаленіи отъ должности членовъ правленія»... და სხვანი. მართალია, მეორე ნაწილი განაჩენისა ცხადად ამბობს, რომ საქმე შესახებ თავმჯდომარის გადაყენებისა უნდა გადაეცეს განსასჯელად ახლად მოსაწვევს კრებასაო, და ამით ცხადდება აზრი პირველ ნაწილისაც, მაგრამ მაინც და მაინც სასურველია განაჩენები ისე იწერებოდესო, რომ საჰორაოდ და კლანჰოსადებად არა დასტოვოს-რა.

ჩვენ ყოველ ამით იმისი თქმა-კი არ გვინდა, რომ აქაო-და კამიტეტი ცხადად არა სწერს თავის განაჩენებს, და ამიტომაც გამგეობა, ან მისი თავმჯდომარე უნდა თვით-ნებაობდეს და ურჩობდეს. აქ არც ერთს და არც მეორეს თავის გასამართლებელი არა აქვთ-რა, მით უფრო, რომ რასაც კამიტეტი ამათა სთხოვდა, ამის შესახებ განაჩენი მეტის-მეტად ცხადია და კუდ-გამოუბმელი. თუ ესე არ ყოფილიყო, აბა საცა მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, იქ კი ამას ხელზე არ დაიხვევდნენ და არ იტყოდნენ: რომ ვერა გავიგეთ-რა კამიტეტისა, რა აგვესრულებინაო.

ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერილებს, რომელიც მეტად გძელი მოგვივიდა და იქნება მოსაწყენიც. თუ ესეა, შეგვინდონ და იმას აპატიონ, რომ ეს საქმე ჩვენდა საერთო საქმედ შევიჩნიეთ და ჩვენც ისე გვაწუხებს, როგორც თითოეულს წევრს ქუთაისის საზოგადოებისას, იმიტომ-რომ ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგანაც ერთ-სულნი და ერთ-ხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ.

## ახალი ამბავი

*** გორსა და სკრას შუა მომხდარ უბედურების გამო დღეს კიდევ შემდეგს ცნობებს გვატყობინებენ; 214 ვერსზე საქონლის მატარებელი ლიანდაგზე მიმავალ კამბეჩს დაეტაკა, რის გამოც ორთქლ მავალი ასცდა ლიანდაგს და თან ათი ნავთით დატვირთული ქვაბი და ქვაბებზე მსხდომნი გაიტანა. მემაშინე ჩიპურნოიმ მალე მოასწრო, გადმოხტა და დაუზიანებლად თავი გადაირჩინა, იმისი თანაშემწე სატკოვსკი-კი ორთქლ-მავალს გადაჰყვა და საშინლად დაშავდა. კონდუხტორებ შორის მხოლოდ ერთი ბუგიტაშვილია დაშავებული და ისიც სუბუქად. უფროს კონდუქტორს მარჯვენა ხელზე თითი აქვს მოწყვეტილი. მკვდარი ორია: ერთი ველახის სადგურის მეისრე და მეორე-კი უცნობი: ტფილისში მოვიდა თუ არა ეს ამბავი, საგანგებო მატარებლით ექიმები და გზათა უფროსები გაემგზავრნენ იქითკენ. მეორე დღეს საქონლის მატარებლის მსვლელობა შედგა. ხალხის მატარებლები კვლავ დადიოდა, მხოლოდ ამ უბედურების ალაგას ფეხით გადადიოდნენ და იქითა მხარეზე სხვა განგებ მომზადებულს მატარებელში სხდებოდნენ. გზის რიგზე მოყვანას ფიცხლავ შეუდგნენ და 10-ს, საღამოს ექვს საათზე, მოსახვევი გზა გაიყვანეს, ასე რომ მატარებლებმა კვლავ დაიწყეს მსვლელობა და აგვისტოს 10 ს, 12 საათზე, ხალხისა და საქონლის მატარებლის (№ 11) ცალკე ვაგონით ჩამოიყვანეს მთლად დამტვრეული მემაშინეს თანაშემწე და კონდუქტორი. სატკოვსკი იმ წამსვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იმის გადარჩენის იმედი აღარა აქვთ. კონდუქტორი-კი თავის სახლში წავიდა. ამ უბედურებას კინაღამ უფროსის კონდუქტორის ლუცკის ცოლი არ იმსხვერპლა. მოვიდა თუ არა ტფილისის სადგურზე მატარებელი, რომლითაც დაჭრილები ჩამოიყვანეს, საწყალს იმის შიშით, რომ ჩემი ქმარიც ხომ მძიმედ არ არის დაჭრილიო, გული წაუვიდა და კარგა ხანს გულ-შემოყრილი ეგდო. კიდევ კარგი, რომ ექიმები იყვნენ იმ დროს სადგურზე და გულ-წასულს ჯეროვანი შემწეობა აღმოუჩინეს.

*** თელავი: აქ ძალიან არის გავრცელებული ყივანა-ხველა და ქუნთრუშა. ამბობენ, რომ ზოგგან წითელაც დადისო. პირზედ ქუნთრუშა დაყრილი ბავშვები ქუჩებში დარბიან და ადვილად იჩდიან ხოლმე.

*** კახეთი: აგვისტოს პირველ რიცხვებიდან მთელის კახეთის ბაღ-ბოსტნეულობა წერნაქით გაფუჭდა. ხალხი ამბობს, რომ «წერნაქი ჩავარდაო» და მთლად აშუშა და გაახმო კიტრი, საზამთრო და ნესვიო.

*** ხევი: 9 აგვისტო. ამ ერთის კვირის წინად აქ გაჩნდა საიდგანღაც ერთი სპარსეთის ქვეშევრდომი, როგორც თითონ ამბობს, ვიღაც გარსევანი და დაისადგურა სოფ. სიონში. ამ კაცმა ექიმბაშობა გამოიჩინა და ყოველ გვარ სენის განკურნებასა ჰპირდება ავადმყოფებს, ხოლო 2 მანათი პირის სანახავი-კი წინდაწინ უნდა წარუდგინოთ. ავადმყოფის ნახვის შემდეგ ურიგდება პატრონს 2, 3 და 5 თუმნად, ამ ფულის ნახევარს მაშინვე ხელში ართმევს და დანარჩენიც, თუ მორჩება, მორჩენის შემდეგ უნდა მომცეო. თავის ბინაზე მიყვანილის ავადმყოფის მარტო გასინჯვისათვის-კი ერთს აბაზს იღებს. ამ გვარად სცინცლავს და სცინცლავს საწყალს ხალხს ფულებს. კაცი არ არის ისეთი, არც სოფლის მამასახლისი და არც სხვა ვინმე, რომ ხმა ამოიღოს და ჰკითხოს ამ მატყუარა ექიმს, თუ რომელს სამეცნიერო აკადემიაში დაასრულა ექიმობის სწავლა და ან ვინ მიანიჭა ხალხის ასე უწყალოდ ცარცვის უფლება?!

*** თელავი: 31 ივლისის ღამეს სოფ. იყალთოში ცეცხლი წაუკიდეს გლეხის ისაკ ბაჯიაშვილის პურს და დაუწვეს 23 ურემი ძნად შეკრული ხორბალი. ზარალი ორმოც თუმნამდე იქნება. დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ. ჩვენისავე მაზრის სოფ. კუჭატანში 14 ივლისს ღამე ცეცხლი წაუკიდეს გლეხ დავით ბიძინაშვილის ძნად შეკრულს 60 ურემ პურს და სულ ერთიანად გადასწვეს. ზარალი სამოც თუმნამდე იქნება. ამ ბოროტმოქმედების ეჭვი მიიტანეს იმავ სოფლის გლეხ გიო დარჩიაშვილზედ და უკვე დაჰპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ალიბეგლო: ივლისს 28 აქ ერთი იშვიათი ამბავი მოხდა. სოფ. ალიბეგლოს მცხოვრებმა ზაქარია ბერიკაშვილმა სოფელ ქოთუქლოს მცხოვრებ დ. პაპიაშვილს მოსტაცა ქვრივი რძალი. აი წვლილად ეს ამბავი: დ. პაპიაშვილის რძალი დაქვრივდა შარშან შემოდგომაზე და დარჩა ორი ძუძუ მწოვარა ვაჟიშვილი. ქვრივს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ ობლებს გამოვზრდი და არ გავთხოვდები, თუ მაინც და მაინც გავთხოვდი. ისევ ზედ-სიძედ შემოვიყვან ვისმეო. ასეთის აზრისა იყო იმისი მამამთილი დ. პაპიაშვილიც, მაგრამ ქვრივს არ მოეშვა ზაქ. ბერიკაშვილი. შეუყენა შუაკაცები და უნდოდა როგორმე დაეყოლიებინა ქვრივი, მაგრამ ქვრივმა ცივი უარი უთხრა. ზაქ. ბერიკაშვილი მაინც არ მოეშვა, ტკბილის სიტყვით რომ ვერას გახდა, ახლა მოტაცება მოუნდომა. 27 ივლისს იგი ოთხის თათრით მიუხდა დ. პაპიაშვილის სახლს და სახლი-პატრონის შინ არ ყოფნის დროს გაიტაცა ქვრივი. ქვრივის ჰყივილ-კივილზე მოცვივდნენ სოფლის დედაკაცები (მამაკაცნი კალოზე იყვნენ), კეტებითა და ჯოხებით მრავალი სცემეს ზაქარიასა და იმის მომხრე თათრებს და ქვრივი დააგდებინეს. თავზე ლაფ-დასხმულ-გამხეცებულმა ზაქარიამ და იმის ამხანაგებმა თავს ძლივს უშველეს და გაიქცნენ. მეორე დღეს იგივე ქვრივი მამამთილს შეუსვამს ურემზე და წამოუყვანია სოფ. ალიბეგლოს, რომ მთავრობისათვის შეეტყობინებინა ზაქ. ბერიკაშვილის ამბავი. ზაქ. ბერიკაშვილი ჩასაფრებია გზის ერთ ვიწრო მისახვევში ოთხის კაცით და დ. პაპიაშვილი იმ სივიწროეს დაახლოვებია თუ არა, გამოსცვივნიან, უტაცნიათ ხელი ქვრივისთვის, რომელსაც თვისი ვაჟები მუხლზე უსხდნენ თურმე. ქვრივს ყმაწვილები მოუშორებია და ხანჯლით მტრის მოგერება დაუწყვია, მაგრამ რას იზამდა მარტო. მამამთილი შებოჭილი ჰყოლიათ. ქვრივისთვის ხანჯალი ხელიდგან გამოუგლეჯიათ და საწყალი ერთგული დედა ობლებისა გაუტაცნიათ ტყეში. ერთის მხრით შიშისაგან და მეორეს მხრით უდედ-უძუძუსობისაგან ობლები ისე შეწუხებულან, რომ ვინ იცის, აიტანენ ამ უბედურებას, თუ ვერა. ამბობენ, ხსენებული ბერიკაშვილი ეს მესამედ იტაცებს ქალებსაო. დღესაც არ იციან, თუ სად გადიჩქმალა ზაქ. ბერიკაშვილი და მის მიერ გატაცებული უბედური დედაკაცი.

*** დუშეთი: ამ თთვის პირველ რიცხვებში, დუშეთიდგან ათის ვერსისა და სოფელ მჭადის-ჯვრიდგან ვერს-ნახევრის მანძილზედ, იპოვეს ადამიანის ძვლები, მთლად გაწიწკნული ფრინველებისაგან და გაღრღნილი გარეულის ნადირებისაგან, იმ გზის ნაპირას, ტყეში, რომელიც მჭადისჯვრის აღმოსავლეთ სამხრეთით მიდის მუხრანისაკენ. მთელს ჩონჩხს კანი მარტო ხელის თითებზედ-ღა შერჩენოდა დანარჩენი გვამი სულ ერთიანად შეჭმული-ღა იყო. ეს ჩონჩხი დუშეთის მცხოვრებელის იაგორ სანაშვილისა გამოდგა, სულ თვრამეტის წლის ყმაწვილისა, რომელიც ერთს ქ. ტფილისელ კალატოზთან ყოფილიყო შეგირდად და თორმეტის დღის დაკარგული იყო. ეს კალატოზი ამ ჟამად დუშეთში მუშაობს; წარსულის თთვის უკანასკნელს რიცხვებში ოსტატს ტფილისიდგან გამოუგზავნია ურმით შენობისათვის მასალა და თან გამოუყოლებია საცოდავი ი. სანაშვილი. ი. სანაშვილს ს. მუხრანში გამოუვლია და თავის ოსტატის გადასაცემად ოცდახუთი მანეთი ვიღასთვისაც გამოურთ-

---

ჰაა, სავაჭრო ხომ არაფერი გნებავთ? ვა, ვა, ოო, გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— ჰამა შენ კიდევ ერთთავად სწერამ და სწერამ გაზეთი წელიწადი თორმეტი თთვე!.. დაწერე და გაათავე რაღა! წელიწადში ერთმა გაზეთმა დაიწეროს, მეტი რათ უნდა?!

— შენ ერთი ჰამა გეყოფა დღეში? ვკითხავ მე.

— ვა. ჰამა სხვაა, გაზეთმა სხვა. მე დღეში ოთხჯერაცა ვჭამ პურს, რა უყოთ, ყველას თავისი თაბაუთმა აქეს...

— კარგი, თქვენმა მზემ! კუჭს ოთხჯერ უნდა საჭმელი დღეში და ტვინს კი წელიწადში ერთხელ?! საწყალი ტვინი, საწყალი ჰკუა, ყველასაგან მასხარად აგდებული!..

ჰამა, კაი ამბები სწერია გაზეთში? მკითხავს კვლავ გასპარა.

— ძალიან ზორბა.

— ჰამა, ერთმა გაზეთმა ჩვენი ისემე, აგერ ხეჩუას დახლიდარი რაღა, იმან დაუწერია ერთი გაზეთმა. დახლიდარი, ჯეჰილ-ჯეჰილი ბიჭი რომ არის ლამაზ-ლამაზმა, იმან ჰა! ერთი დაუწერია თუ: ხეირმა წავიდა, ფულმა აღარ არის, თუ ყველამ ჰკვა მოაგროვა გოგრაში; ებნები—არშინი ხუთი შაური, გეებნება: ორი შაური. ეფიცები ღმერთი, ქრისტე, ყურებში არ ემის.

— ზორბა გაზეთი დაუწერია მართლა.

— ვაა! ნასწავლმა, ტერ-მინასას სკოლა დაუსრულებია... მაშ!

ერთი იმისმა ნაწერმა ნახო, იტყვი თუ შენი მამა ცხონდა, კალამო!

კარგად ვიცი დახლიდრის კალმის ძალა, მაგრამ მე მაინც არ დაუწუნე მწერლობა, არ ვაწყენინე გასპარას და ვსთქვი გასპარას გასაგონად: ყოჩაღ, ბარაქალა, დახლიდარო მწერალო-მეთქი. ან-კი რას იზამ, როგორ დაუწუნებ მწერლობას ამ ყარტა-ყურტა ხალხს, როცა სხვა, ვისაც წერა შეუძლიან, ყურს არ უგდებს მწერლობას და გარდა იმისა, რომ თვითონ არაფერსა სწერს, სხვის ნაწერსაც-კი არა კითხულობს, არ კადრულობს და იმიტომ. მოუწონე გასპარას, ხეჩუას დახლიდრის მწერლობა, მაგრამ გულში კი ვსთქვი, ღვთისა წინაშე; ქორი საქათმედ გახდაო და იმისი საქმე წახდაო!

—

გავისტუმრე გულ-დამშვიდებით გასპარა, არა-მარტო გულ-დამშვიდებით, არამედ თავ-მოწონებული, რადგან იმის წრეში აღმოჩენილ მწერლის მწერლობა და მეგაზეთეობა არ უარ-ვყავი. შევხედოთ, ახლა მამასახლისი მოაფლაშუნებს. ღოსტოღრივ კარებზე მოდგა, იქვე ძაღლმა დაუტია, მაგრამ გზირი მიეშველა მამასახლისს: „აგაგა, აგაგა, მამასახლისი არ შაგვიჭამოეო!"

დახარა თავი მამასახლისმა და შემოვიდა ჩემთან.

— აგაშენოსთო! სთქვა მან.

— დაგამშვენოსთო! მე ვუპასუხე.

— გამარჯვება!

— გაგიმარჯოსო!

— ამბავი, ხაბარი?

— მშვიდობა, შენი კარგა ყოფნა.

— მაინც, უსაქმოდ არ გაირჯებოდი, მამასახლისო!

— მაქვს საქმე, უნდა შეგაწუხოთ, ერთი უნდა გეიშველო რამ.

— თუ-კი შველა შეიძლება, რატომ, ადვილია. ყური ჩემი, საუბარი შენი, ვიფიქროთ, გავიგოთ ჯერ საქმე.

— შე, დალოცვილო, ვინ იცის რასა სწერ, მოჰყვები ამ მთისას, იმ მთისას, ერთი ჩვენის ბეჩაობისაც რამ დაწერე, ერთი შენმა გაზეთმა ჩვენც რამ გეიშველოსო. თუ არა, მარტო წერიდამ რა გამოვიდა, თუ-კი არავის-რა დასთბება; თუ-კი ჩვენც არ გვეშველება. არა ვსტყუი, ოო ხატის მადლმა, აცნობე ერთი მთავრობას ჩვენი საწყლობა-ბეჩაობა.

— აბა, რა ბეჩაობა, რა საწყლობა?

— ბევრი, ძალიან ბევრი, გაიძახის მამასახლისი.

— რომელი, მაგალითად, დამისახელე ერთიც არის, რომ მეც ვიცოდე, იქნება შენ იმას ეძახი საწყლობას, მამასახლისო, რაც, საწყლობა-კი არა, პირველი ბედნიერებაა.

— ეგ როგორ შეიძლება, სთქვა მან ცოტა გულ-ნაწყენად: არც ისეთი აჯამები ვართ, არ ვიცოდეთ რა ავია და რა კარგი, რა ბედია და რა უბედურება... შენ ერთი ლეპორტი უნდა გამიკეთო ნაჩალნიკთან.

— ეგეც ერთი უბედურება. რაზე?

— აი რაზე, განა შენ არ იცი, რო ხარჯი მოგვემატა და შემოსავალი-კი აღარსაით-რა არი, ადგილს ველარას ვრჩებით, ტყესა და საქონელსა. ჯანაბას, ვისაც კიდევ სახლში კაცი ჰყავ, როგორც იქნება ან ამით, ან იმით, მიაწყდ-მოაწყდება იშოვნის, რა ქნან ატიალ-ოხრებმა. ფორმაში კომლადა სწერიან და ოჯახში ერთის გადაოგნებულის, გადაყრუებულის ბებრის მეტი-კი არავინა გდია. ისიც მშიერი და ისეთი ტიტველია, ცეცხლში რო შააგდო, ნატისუსალი არ ედინება. ჩემს საზოგადოებაში ორმოცამდეა ასეთი, რა

მეეია. როგორც მეურმე ამბობს, სანაშვილი დაწინაურებულა გზაზედ რომ უფრო მალე მივიდე დუშეთში. ამ დროს გზაში ვილაცაები დაჰხვედრიან, გადაუყვანიათ იქვე გზას იქით ბილიკზედ და, როგორც ეტყობა, გამოუჭრიათ ყელი, რადგან, იმ ადგილს სადაც მოუკლავთ, ჯაგები ერთის არშინისა და არშინ ნახევრის სიმაღლეზედ მთლად სისხლით არის მოსვრილი. საკვირველი ის არის, რომ ამ ვაჟბატონს, კალატოზს, რომლის შეგირდი ურემს აღარ მიჰყოლია და რამდენსამე დღესაც აღარ მისულა, ეს გარემოება თავის დროზედ არავისთვისათვის არ უცნობებია, არც პოლიციისათვისა და არც მახლობელის ნათესაობისათვის, (სანაშვილს არც მამა ჰყავდა, თურმე და არც დედა), რომ მოეძებნათ და გვამი ნადირ-ფრინველებისათვის მაინც არ შეეჭმევინათ. გ. სანაშვილი წინად ტფილისში ყოფილა შეგირდად ერთს მედუქნესთანა, პარიჟის სასტუმროს ქვეშ, შემდეგ, ამ რამდენისამე თთვის წინად, იქიდგან ამ კალატოზს გამოუყვანია მოტყუებით და შეგირდად აუყვანია. ეს საქმე უკვე დუშეთის გამომძიებლის ხელშია და სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

*** 10 ამ თთვისას, პოლიციის მერვე ნაწილში, ჩითახოვის ქარვასლაში მცხოვრებს სპარსეთის ქვეშევრდომს ბენიამინ მურადხანს მოჰპარეს სხვა-და-სხვა ნივთეულობა 45 მანეთისა. ეჭვი მიიტანეს სპარსეთისავე ქვეშევრდომ კარაპეტ მანუკოვზე და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მეექვსე ნაწილში, სუმბათაშვილის ვიწრო ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელს მიხეილ ახავიტაშვილს, რომელიც გორის მაზრელ თავ-აშვებულ ქალ მარიამ არუნოვთან სცხოვრებდა, ჩხუბი მოუვიდა ამასთან და დანით დასჭრა თავში. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს და დამჭრელი-კი შეიპყრეს.

## რუსეთი

შემოდგომიდგან დაიწყებს მოქმედებას ახალი კანონი სოფლის პურის საწყობის შესახებ. ეს კანონი მთავრობამ იმ განზრახვით შემოიღო, რომ ამიერიდგან სოფლებს ზამთარში პური არ შემოაკლდეს ხოლმე. კანონში ნათქვამია, რომ ყოველს სამამასახლისოს მთელს რუსეთის იმპერიაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს პურის მაღაზიაო. გარდა ამ საზოგადო პურის მაღაზიისა ცალკე სოფლებს უფლება აქვთ, იქონიონ კიდევ კერძო მაღაზიაცა, რომელიც იმ წესითა და რიგით უნდა სწარმოებდეს, რა წესითა და რიგითაც დიდი საზოგადო პურის მაღაზია სწარმოებს. მაღაზიების გამგენი უნდა ამოირჩიოს ხოლმე სოფლის ყრილობამ თავიანთ შორის იმ კაცებისაგან, რომლებმაც წერა-კითხვა იციან, კარგი სახელი აქვთ მოპოვებული და სამართალში არას დროს არა ყოფილან მიცემულნი.

— 1891 წლის დასაწყისს მოსკოვში მოხდება კრება სოფლის მეურნეებისა. მეურნეები მთელის რუსეთიდგან უნდა შეიკრიბნენ და ბევრი საყურადღებო საგანი უნდა განიხილონ. სხვათა შორის ამ კრებამ უნდა გამოიკვლიოს, რა ვითარებაშია რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეში მეურნეობა, რა გვარის ცოდნისა და სწავლის გავრცელება უფროა გამოსადეგი და რა ნაირი სასწავლებლები უნდა დაარსდეს, რომ მეურნეობამ ფრთა შეისხას და გაძლიერდეს. ამავე კრებამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს, თუ რა საგნების სწავლება უნდა მოემატოს დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. ამას გარდა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კრებამ იმ საგანსაც, რომ უფასო კურსები გაიმართოს მეურნეობისა და დაარსდეს სამაგალითო მინდორ-ბაღები და სადგურები.

— ამბობენ, მთავრობამ გარდასწყვიტა, რომ გლეხებს ნადელის მამულის გაყიდვა აეკრძალოთო. შეიძლება მთელის საზოგადოების საერთო მამულები გაიყიდოს ხოლმე, მაგრამ ყოველი ამნაირი საქმე ჯერ გუბერნატორს უნდა მოხსენდეს და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლადაო. სასახლ-კარო ადგილ-მამული გლეხკაცს შეუძლიან მიჰყიდოს თავისისავე სოფლის გლეხს მხოლოდ მაშინ, თუ მყიდველი სასმელების ვაჭრობას არ მისდევს და მაზრის მთავრობის წინაშე კეთილ სინიდისიერ კაცად ითვლება. ამას გარეშე სხვა ნასყიდობის ყოველივე ხელ-შეკრულობა უკანონოდ იქნება ცნობილი და გაუქმდება.

— ამას წინად სამხრეთ რუსეთის ერთ ერთს გუბერნიაში გარდაიცვალა ძუნწი მდიდარი, რომელიც მხოლოდ იმითი სცხოვრებდა, რომ დიდის სარგებლით ასესხებდა ფულებს და კარგს გირაოებს იღებდა. ამ კაცის მეტის მეტი სიძუნწეს ის ამტკიცებს, რომ თავის დღეში არც მოსამსახური ჰყოლია და არც ძაღლი, რადგანაც ორივეს ჭამა-სმა უნდა და შენახვაო. დიდი სახლი ჰქონდა თურმე, ძაღლის მაგიერ თითონვე ჰყარაულობდა და ღამ-ღამით ხანდახან ძაღლურადაც დაიყეფებდა ხოლმე, რომ ქურდები დაეფრთხო. ერთხელ, ამ 10—12 წლის წინად, ავად თურმე გახდა ეს კაცი და ისე მისუსტდა, რომ თითქმის სიკვდილის პირზე მიდგა. თუმცა მკურნალები ეჯავრებოდა, რომ ფულები უნდათო, მაგრამ სნეულებისაგან ილაჯ-გაწყვეტილმა, ცოლის დიდის ჩაციების შემდეგ მაინც მოიწვია მკურნალი. მკურნალი მაშინვე მიხვდა თურმე, რაშიაც იყო საქმე, აიღო და წამალი გამოუწერა. გაჰგზავნეს რეცეპტი აფთიაქში და, ნახეთ ავადმყოფის გაკვირვება, წამლის მაგიერ მშვენიერი ერთი მათლაფა წვნიანი და ერთი თეფშიც მოხრაკული საჭმელი მოუვიდა, სულ 7 მან. ღირებული. მკურნალს კარგად სცოდნოდა ამ კაცის სიძუნწე და იმიტომ გამოეწერა ეს სადილი, რომ შიმშილითა და სიძუნწით არის ეგ ავადაო. ამ წამლის მიღება და ორ თავ საჭმელში შვიდის მანეთის მიცემა ძალიან ემწვავა თურმე ძუნწს. იგი უფრო იმიტომ გაჯავრებულიყო, რომ ეს სადილი შინ მომემზადებინა, მანეთზე მეტი არ დამიჯდებოდაო და ეხლა-კი ცუდ-უბრალოდ ამოდენა ფული იკარგებაო. გამოწერილი სადილი მაინც სულ ერთიან მიესუნსლა, მაინც დაიკარგა და დაიკარგა 7 მანათიო. ამ დღიდგან ძუნწმა მარხულობა დაიშალა და ჭამას აღარ იკლებდა იმის შიშით, ვაი თუ ავად გავხდე, კიდევ დამჭირდეს მკურნალის მოწვევა და შვიდი მანეთი გადამახდევინონ ორ თავ საჭმელშიო.

## წვრილი ამბები

ამას წინად გაზეთებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს, რომ ელექტრონის ძალას სიცოცხლის მოსასპობ იარაღად ნუ ვიხმარებთო, მაგრამ ამ ჟამად ვიღაც შერეის მიერ ახლად გამოგონილმა მანქანამ დაამტკიცა, რომ ამნაირად ელექტრონის გამოყენება ძლიერ სასარგებლოც არის, თუ, კაცებს-კი არა, მავნე მწერებს დავხოცავთ ხოლმეო. ეს შერეის მანქანა ანათებს თურმე ღამით და როდესაც მწერები წაეტანებიან სინათლეს ელექტრონის ძალა ხვდებათ და იქვე იხოცებიან.

— ამერიკულ გაზეთ „New - Iork Herald“-ს ერთი მანქანა უყიდნია, რომელიც 48,000 ცალს გაზეთისა ჰბეჭდავს ერთს საათში; ამას გარდა ჰკეცავს, სჭრის და რიგზე ალაგებს კიდეც ამ გაბერთელა 8 გვერდიან გაზეთს.

— ამას წინად თეირანში ცხენის დოღი იყო გამართული, რომელიც აქამომდე იქ არას დროს არა ყოფილა. თვით შაჰი სპარსეთისა თავის შვილებითურთ და 10,000 სხვა მაჰმადიანი დაესწრო თურმე ამ დოღს. მაჰმადიანები დიდს ტაშის კვრასა და ამბავში იყვნენ. სპარსულმა გაზეთებმა ამის გამო ის აზრი გამოსთქვეს, რომ დოღის გამართვა ჩვენის ერის წინ წასვლისა და განათლების ნიშანიაო.

— ანატოლიის რკინის გზის უფროსს კულმანს წერილი მოსვლია ყაჩაღების ბრბოსგან, რომ ცხრა ასი თუმანი მოგვეცი და საუკუნოდ თავს დავანებებთ თქვენ მხარესაო. აქ რომ დავრჩეთ და თქვენი სუროთ-მოძღვრები დავიჭიროთ ხოლმე, იმათ გამოსასყიდლად მაგდენივე დაგვჭირდებათო. ბარემ ერთბაშად მოგვეცით ეგ ფული და თქვენც მოისვენებთ და ჩვენცაო.

— ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესმა 4,000 მან. გადასდო, რომ სცადონ ხელოვნურ წვიმის მოყვანა. ტყის დეპარტამენტის დირექტორმა ფერნოუმ უნდა თვალ-ყური ადევნოს ამ საქმეს. ხელოვნური წვიმა ამ ნაირად უნდა მოიყვანონ: ჰაეროსტატებით აგლენ ჰაერში და წამალს ააფეთქებენ. ამის გამო ჰაერში ორთქლი შეიკუმშება და წვიმად წამოვა მიწაზეო. საფიქრებელი მხოლოდ ის არის, რომ წვიმის მოყვანა ძლიერ ძვირად არ დაჯდეს და ის ანდაზა არ გამართლდეს, ჩიტი ბდღვნად არა ღირდა, უკან დევნა მეტი იყოვო.

— დედოფალ იზაბელას ერთის სეფექალის შვილი, დონ რამონ ერნანდეცი, ჰერცოგი სევილიისა, ექვსის თთვით ციხეში დაასპატიმრა პარიჟის სასამართლომ. ჰერცოგს ისა ჰბრალდებოდა, რომ ცირკში მოთამაშე ქალისათვის ჯიბიდგან ფულები ამოეცალა, როდესაც ეს ქალი ცხენზე ჯდებოდა. ამას გარდა მეორე ქალიც უჩიოდა, რომ მეც ოქროს სამაჯური მომტაცაო. როცა სასამართლოში მოვიდა ჰერცოგი, წარბიც არ შეუხრია სირცხვილისაგან და ამაყად ამბობდა, ტყუილად ცილსა მწამებენო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო და ზემოხსენებული სასჯელი მიუსაჯა.

## გასართობი

„Gil-Blas“-ში მოთხრობილია ერთი ამბავი ნაპოლეონის ბრძოლათა დროისა ფრანგ, რუს და გერმანელ ჯარისკაცის ერთგულების გამოცდის შესახებ. ეს ამბავი იგვად არის მოთხრობილი, მაგრამ ძალიან საინტერესო კია. ტილზიტში მოხდა თურმე ეს ამბავი. როცა ნაპოლეონი მოურიგდა პრუსიას, თავისი მოწინააღმდეგენი საუზმეზედ მიიწვია ტილზიტში. მხოლოდ ორმა გაჰბედა და ესტუმრა და ეს ორნი პრუსიისა და რუსეთის იმპერატორები იყვნენ. სუფრა მეხუთე სართულში გაშალეს, რათა დარბაზის ფანჯრებიდგან კარგად დაეთვალიერებინათ მირს დაბანაკებული ჯარი. საუზმის დროს ბაასი როგორადაც მდორედ სწარმოებდა, განსაკუთრებით უფრო ჯარის შესახებ ჰლაპარაკობდნენ და ყველა თავის ჯარს აქებდა.

ერთმა ხელმწიფეთაგანმა დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რა გგონიათ, ვის უფრო იმედი გაქვთ ჯარის ერთგულებისაო.

— ჩემი ჯარის-კაცები ბრმად მემორჩილებიანო! წამოიძახა იმპერატორმა ალექსანდრემ.

— ჩემები ყოველ წუთს მზად არიან სიცოცხლე გასწირონ ჩემის გულისათვისაო! დასძინა ნაპოლეონმა.

— თუ აგრეა, აბა გამოვცადოთო! სთქვა ახლა პრუსიის მეფემ.

ნაპოლეონი დათანხმდა, დაუძახა მოსამსახურეს და უბრძანა, რომ ეხლავე აქ მომიყვანე გვარდიელი მარკოო.

მოსამსახურე გავიდა. ჩამოვარდა სრული დუმილი და ხმა არავის ამოუღია მარკოს მოსვლამდე, იმ მარკოსი, რომლის სიმამაცე მთელს ჯარში ანდაზად იყო გადაქცეული. ამ კაცს იმდენივე ნაჭრილობევი ჰქონდა, რამდენიც ჯვარი და მენდალი. მარკო კარებში შეჩერდა და სამხედრო წესისამებრ სალამი მისცა ნაპოლეონს.

— მარკო, მზად ხარ შეასრულო ჩემი ბრძანება, რაც უნდა დაგავალო? ჰკითხა ნაპოლეონმა.

---

უყოთ სოფელმა, თავისი ხვედრი ხარჯიც ვერავის გადაეუწყვეტავს, რით უნ და გაუძლევეთ ამოდენას. სხვის ხარჯსა ჩვენ ამას გთხოვთ, რომ ლეპორტი დაგვიწეროთ ამაზე, ეგებ წამალი რამ დაგვედვან.

— კიდევ რა გიჭირთ? ვკითხე კვლავ მამასახლისს.

— ბევრი რამ გვიჭირს, სთქვა მან: მაგრამ ყველას ვინ იტყვის, განა შენ არ იცი. კიდევ აი ემ ბატკნების საქმე. ლამის რო მბლავანი დაილიოს, ვინც მოხელე-კი მოვა, ყველას მუქთად ბატკანი უნდა და გაჭირდა საქმე, აღარ არის, სოფელმა ლამის, რომ სხვაგან იაროს ბატკნის სასყიდლად.

— სხვა აღარაფერი გიჭირთ? რატომ არ ამბობ, შენ თითქოს პირობა მომეცი ჩამოგვეთვალა ჩემთვის თქვენი საწყლობა და ბეჩაობა.

— ყველა არ მაგონდება კაცს, ე!..

— რატომ არ გაგონდება? მოსაგონი თუ არ არის: მაშ სკოლა არ გიჭირთ.

— სკოლისათვის ვისა სცალიან, შენს გამარჯვებას, თავზე ცეცხლი გვეკიდება.

— მუდამაც ეგრე წაკიდებული გექნებათ, თუ არაფერი ისწავლეთ, თუ გოგრაში არაფერი ჩაიდევით: თუ გზა არ ისწავლეთ, რაზედაც უნდა დასდიოდეთ.

— ეჰ, ის გზაც დაგვავიწყდა, რაც ვიცოდით, თორე სხვა გზას-კი ველარ ვისწავლით!.. შენც ისწავლე, მაგრამ გაზეთების წერის მეტს არაფერს აკეთებო, სთქვა მან და ამითი გაათავა ჩემთან მასლაათი.

პროვინცია, სოფელი ჩვენში სწორედ სმა-ჭამისათვის არის გაჩენილი, თუმცა გერმანიაში, როგორც ამბობენ, დიდს ქალაქებს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის მეცნიერების წინაშე, რამდენიც პროვინციას; იქ პროვინციამ გაიმარჯვა ფილოსოფოსებითა და პოეტებით. ჩვენებური პროვინცია კი ისეა მოწყობილი, რომ თუ რასმე გონებრივს თანხას მიიყოლებ იქ, ისიც იქ შემოგეხარჯება და დარჩები ისეთივე გამოყუყუჩებული, როგორც სხვანი მრავალნი. საქმე ყოველთვის მიბაძვით, თვალ-ყურის მიგდებით, აყოლით კეთდება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სმა-ჭამაში იპოვნით ამხანაგს და საგონებრივო საქმეში-კი ამფსონი არავინა გრჩება შენის თავის მეტი. მარტოკა კაცს არა მარტო საქმე, თავის თავიც-კი მოსძულდება. ასე ოხრად, აზრის უალებ-მიცემოდ დარჩენილი კაცი ან სულ დაიჩაგრება, იმედსა ჰკარგავს, უარ-ჰყოფს თავის ძალ-ღონეს და ან ბრძნად, მეტის-მეტად ჭკვიან კაცად წარმოიდგენს თავს. სოფლად კაცის გულს უფრო დედაკაცები ახვენებენ, ვიდრე მამაკაცები... პირველებს სალაღოლელი აქვს აშლილი მსჯელობისა, მოსაზრებისა, ფიქრისა, ეძებენ გულისა და გონების საზრდოს, რადგან ეს საზრდო სხვა არ მოეპოვებათ, ამიტომ ამ ზაფხულობით, როცა-კი მზე დაეწვერება და უბერავს გრილი ნიავი, მოიყრიან თავი-თავს ერთად და, როგორც ბაყაყები ჭაობის პირას, ისე ისინი ქუჩის პირას წამოყაყულან და ჰკორტიკაობენ. არარაობას ცხრა უღელი კატა სჯობიაო, ნათქვამია და არც ტყუილად, მე და ჩემმა ღმერთმა! სრულიად გონების დაძინებას, გამოყუყუჩებას, გამოჩერჩეტებას, რომელიც მამაკაცებს ეტყობათ, გონების ცოდვილობა არა სჯობია!

სოფლად მოიპოვებიან ისეთნი მთხზველნი დიაცნი, რომ მეგაზეთის სახელი მოუპოვებიათ, ზოგან „მედეპეშესაც“ ეძახიან ამისთანა მანდილოსანს. ეს დეპეშა ამა-და-ამ დიაცის გამოგზავნილიაო, ის გაზეთი იმის შედგენილიაო, იტყვიან სოფლელი ქალები, როცა ახალი ჭორი ჩამოვარდება, ახალი ამბავი გამოტყვრება და ეს ამბავი დღეში ასჯერ იცვლის ფერსა, სხვა და-სხვას სხვა ნაირად მოაქვს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მუდამ სასიამოვნო ამბავსა და დეპეშას არ შეჰქმნიან და არ გამოაქვეყნებენ ხოლმე სოფლელი მეგაზეთეები და ტელეგრაფისტები. ერთს ამ მეგაზეთეს, მაგალითად, აი რა გაზეთი გამოუცია და შეუძრწუნებია არა-მარტო ქალები, მამაკაცებიც-კი. გამოუქვეყნებია, რომ რუსები ქალების ჯარს ჰკრეფენო. შენი მტერი, რომ ამ გაზეთმა დიდი თათბირი და ყაყანი გამოიწვია, დიდი სჯა და საუბარი. ერი ერს დაეჯახა და სოფელი სოფელს. აბა გაზეთიც ამასა ჰქვიან და ნიჭიც ეს არის!

წადი შენ და იძახე, მწერლობა და გაზეთი რის მაქნისიაო! ჯერ ეს უსწავლელი დედაკაცები ადგენენ გაზეთებს და ჩვენ ხომ ცოტა მაინც რამ გვისწავლია, ცოტა მაინც რამ გვესმის ქვეყნის ავ-კარგისა და წუთისოფლისა.

მამუკა

— მზად გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ!

— რაც უნდა იყოს, უკან არ დაიხევ? დაეკითხა კვლავ იმპერატორი და თვალითვალში გაუსწორა.

— რაც უნდა იყოს, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა მარკომ.

— ძალიან კარგი. მაშ აბა ამ ფანჯრიდგან გადახტი.

მარკო ოდნავ შეკრთა, თითქოს მეტად გაუოცდა ასეთი ბრძანებაო, და შემდეგ სთქვა:

— თქვენს უდიდებულესობას კარგად მოეხსენება, რომ ცოლ-შვილი მყავს. თქვენთვის ჩამიბარებია...

— იმათთვის ნუ სწუხარ. აბა გადაეშვი!

მარკომ თავი დაუკრა, მივიდა ფანჯარასთან და გადახტა.

— ეხლა ჩემი რიგიაო, წამოიძახა იმპერატორმა ალექსანდრემ და ეტყობოდა, რომ ჩქარა უნდოდა გამოეჩინა თავისი ძალა: დამიძახეთ ვინმე ჩემის ლეიბ-გვარდიიდგან, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს!

რამდენსამე წუთს შემდეგ გრენადერი შემოვიდა.

— რა გქვიან? ჰკითხა მეფემ.

— ივანე ივანოვი, თქვენო უდიდებულესობავ.

— კარგი. ივანე, გადახტი მაგ ფანჯრიდგან!

— მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

რუსის ჯარის-კაცი, ხმა-კრინტის ამოუღებლად, ერთს წუთსაც არ დაფიქრებულა, მივიდა ფანჯარასთან, ღრმად ამოიოხრა და გადაეშვა ძირს.

ახლა პრუსიის მეფე მიუბრუნდა თავის მოსამსახურეს:

— წადით და ყველაზედ მამაცი მეომარი დამიძახეთ.

შემოვიდა უშველებელი, სამის ადლის სიმაღლე კაცი, გოლიათურის აგებულებისა; ამ კაცს მთელი გული ჯვრებითა ჰქონდა სავსე და შუბლზე გრძელი ნახმლევი ეტყობოდა.

— ჩემო მეგობარო, მიჰმართა მეფემ: თავის მეფეების ბრძანებით ფრანგი გვარდიელი და რუსი გრენადერი აი ამ ფანჯრიდგან გადახტნენ მორჩილად, ხმაამოუღებლად. მამაცობა და გულადობა შეგწევს, რომ შენც ისევე მოიქცე და გადაეშვა ამ სიმაღლიდგან?

პასუხის მაგიერ ჯარის-კაცმა გულმშვიდად იკითხა.

— სამშობლოს კეთილდღეობისათვის შესწირეს სიცოცხლე იმ ფრანგმა და რუსმა?

— არაო! უპასუხა ენის-დაბმით მეფემ.

— მაშ თუ ეგრეა, არ შემიძლიან, ვერ გადავხტებიო, მოუჭრა სიტყვა ულანმა.

◆◆

# დეპეშა

10 აგვისტო

ნარვა. იმპერატორმა ვილჰელმმა შტიგლიცის ფაბრიკის გასინჯვის შემდეგ დიდ-ძალი ყომრალი მაუდი შეუკვეთა საუკეთესო ხარისხისა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6, 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 132½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 228 |
| —მეორისა. . . . | — „ | — „ | 216¼ |
| —მესამისა . . . . | 211¼ | — „ | 213¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | 100½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 100¼ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოქველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
გამოცემა „ქართულის საღმრთო წიგნთ-საკითხავისა“
ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის

## ფილარეტისა

ფასი წიგნისა ორი შაური, ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის, 20% დაეთმობა.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:
ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და ზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში
მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

## ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა
ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.
ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.
(50—32)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი
გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა
ბერლინში
და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული
ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,
მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

## ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.
სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).
მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.
ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.
სამკალი მაშინა.
სათიბი მაშინა
ფოცხები, სათესი მაშინები, სარობი და სხვანი.
რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—48)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

## სკოლა-პანსიონი და საყმაწვილო ბაღი

ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა

მიიბარებს ყმაწვილებს პანსიონში სრულისა და ნახევარის ხარჯით და აგრეთვე შეგირდებსაც იყვანს სასწავლებლად. ორივე სქესის ბავშვებს ამზადებს გიმნაზიებისათვისა და ყოველ გვარ სასწავლებლისათვის.

ადრესი: სოლოლაკი, ფრეილინის ქუჩა, სახ. № 4.
(3—3)

Доз. ценз Тифлисъ, 11-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე